შაბათი, აპრილის 26 1919 წ. ფასი 15 შაური. № 72.

# ჩვენი ქვეყანა

ყოველდღიური გაზეთი.

რედაქცია

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილისათვის ხელი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 15 მან. 3 თვით 45 მან. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 1 მ. უკანასკნელზე 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 სტრიქონამდე 20 მ., 12 სტრიქ. ზემოთ 25 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიროსმის ს., ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პეპკო ალექსანდრეს ძე გელოვანი, დედა ნინა ივანეს ასული ლორთქიფანიძისა, ძმა ციცერონ, დები: ვალენტინა ცანავასი, ელენა ხოჯავანოვისა და ნადეჟდა ჩქოტუასი, სიძეები: არსენ გაბრიელის ძე ცანავა, ივანე ფრანცის ძე ხოჯავანოვი და ხუჭუჭი (იგივე პეტრე) ჩქოტუა, მაზლები: ვლადიმერი, მიხეილი, სიმონი და გრიგოლი ალექსანდრეს ძენი გელოვანები ოჯახობით, მულები: ლიზა, მარუსია, საშა და ოლია ალექსანდრე გელოვანის ასულნი აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავთ, რომ 24 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, მათთვის უძვირფასესი

გულა დარისპან ლორთქიფანიძის ასული

გელოვანისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ფერმის ქუჩა, ბლიუმის სახლი. დაკრძალვა კვირას, 27 აპრილს საფიჩხიის სასაფლაოზე, ნაშუადღევის 4 საათზე. 3—1

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ანასტასია ბუჭუ ჩიქვანის ასული იაკობაშვილისა, ძმა ალექსანდრე კონსტანტინეს ასული კანდელაკისა და კალისტინა ნიკოლოზის ასული ქნ. ნიჟარაძისა, სიძეები ვასილ ლევანის ძე თავ. ნიჟარაძე და გიორგი მაქსიმეს ძე კანდელაკი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი

მიხეილ კონსტანტინეს ძე ღულაძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია კვირას 27 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება მოხდება ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალიდან. დასაფლავება წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. 2—1

საჭიროა გამოცდილი რეპორტიორი

ცნობების შემკრები.

პირობების გაგება შეიძლება გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში. დილის 9—1 საათამდის, საღამოს 5—6 საათამდის.

## რა გამოაკეთებს ფულს?

ფულის კურსი თანდათან დაეცა და სულ მალე თავისი წონის ჩალის ფასადაც აღარ ეღირება.

ამის მიზეზი ბევრია. მხოლოდ უმთავრესი —ჩვენი მთავრობის მიზან შეუსაბამო ფინანსიური პოლიტიკაა.

იმისდა მიუხედავად, რომ მთავრობამ ყველაფერი ქმნა, რომ ანარქია გამეფებული ყო, ცხოვრებამ თავისი გაიტანა და უპირველესად თავდაცვის საქმეში განახორციელა დისციპლინა.

და საქართველო ეროვნულად და ტერიტორიულად გამთელდა.

ჯერ სომხების დამარცხებამ სადახლო სანაინთან, ახლა კი არტაანის აღებამ და დენიკინის ჯარის დამარცხებამ საქართველოს დამოუკიდებლობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა.

და, ცხადია: რამდენადაც უფრო გამაგრდება საქართველო, იმდენადვე გაიზრდება მისი ფასი და ღირებულება ეროპის თვალში.

სადახლო-სანაინი, ფოცხოვ-არტაანი, ბზიფი, სადაც საქართველოს მხედრობამ დიდების გვირგვინი დაიდგა თავზე,—მსოფლიო ისტორიის ფურცელზე დაიწერა და ევროპისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

და სწორედ ეს არის მიზეზი, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა რომ პარიზის ყველა წრეში თანაგრძნობას მოიპოვებს.

იმავე დროს მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოს შეუძლია შექმნას საკუთარი ფული.

მკითხველო! არიან ჩვენში ისეთნი გადაგვარებულნი, რომელნიც ფიქრობენ: აი დენიკინი და კოლჩაკი ბოლშევიკებს დაამარცხებენ, რუსეთში მეფობას აღადგენენ, შემდეგ კი საქართველოს დაიპყრობენ და წესიერებას დაამყარებენ!

რამდენი ოცნებაა და იმავე დროს ამ ოცნებაში რა საზიზღრობაა! ისტორიის ჩარხის უკან დატრიალება განა შეიძლება? და რა შავრაზმელი ხელის კვერთხება უნდა ჰქონდეს ქართველს, რომ საქართველოს მონობა ინატროს!

მაშასადამე საკუთარი ფული მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოს შეუძლია ჰქონდეს.

მეორე მხრით, ვიდრე საქართველოს მხოლოდ ტერიტორიებული „ბონები“ ექნება, რომელნიც რუსულ ფულს წარმოადგენენ, „ბონების“ ფასი ყოველთვის ნაკლები იქნება, ვიდრე რუსული ფულის, როგორც ასლი დედანზე.

მართლაც: ჩვენი ხაზინა რუსულ ფულს საკუთარი ბონების ფასად ღებულობს. იმავე დროს ჩვენს ბონებს რუსეთში არ ღებულობენ. ცხადია, რომ რუსული ფულის ამგვარი უპირატესობა—ჩვენი მთავრობის მიზან შეუსაბამო ფინანსიური პოლიტიკის ბრალია.

საკვირველია და თან სავალალო! გაგონილა, რომელიმე ქვეყნის მთავრობა სხვა ქვეყნის ფულის უპირატესობას ხელოვ[illegible] უწყობდეს?! [illegible] ჩვენი მთავრობამ უნდა [illegible] გაბედოს ბაზრის გადადგმა და საკუთარი ფული უნდა გამოუშვას, საკუთარი ვალიუტა უნდა შექმნას. და ხაზინამ, რკინის გზამ, ფოსტამ, სასწავლებელმა და ყოველგვარმა სახელმწიფოებრივმა და საერო დაწესებულებამ გადასახადები ქართული ფულით უნდა მიიღოს. უამისოდ ვერც გზების გახსნა, ვერც უცხო ქვეყნებიდან საქონლის შემოტანა, ვერც სამხედრო გამარჯვება, ვერც ტერიტორიის გაფართოვება, ვერც ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება უცხო სახელმწიფოების მიერ,—ვერაფერი ვერ გვიშველის და ვერ მოსპობს სიძვირეს.

მაშ საკუთარი ფული. საკუთარი ვალიუტა! აი რაშია ხსნა.

მაგრამ გვეტყვიან: საკუთარ ფულს ხომ ოქროს საწინდარი დასჭირდება?

რასაკვირველია, ოქროს მადენი რომ გვქონოდა, საკუთარი ფულის მოჭრა ადვილი საქმე იქნებოდა: ოქროს ფული გვექნებოდა; იმავე დროს, რამდენი ოქროც გაჰქონდა საზღვარგარეთ იმდენივე ახალ ოქროს ფულს მოვსჭრიდით.

მაგრამ არ არის მართალი, ვითომ საკუთარი ვალიუტის შექმნა მარტო საკუთარი ოქროს საშუალებით შეიძლებოდეს: ამ მიზნისათვის სხვა საქონელიც გამოდგება, რომელსაც კი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

გვაქვს თუ არა ასეთი საქონელი? გვაქვს: ეს საქონელი—შავი ქვაა (პიროლიუზიტი).

მოგეხსენებათ, რომ რკინის წარმოება დღეს თვინიერ „შავი ქვისა“—შეუძლებელია. „შავი ქვა“ იფარავს რკინას დაწვისაგან, ე. ი. ადიდებს რკინის რაოდენობას და აუკეთესებს მის ღირსებას.

მაშ რამდენი „შავი ქვა“ დასჭირდება ომგადახდილი სახელმწიფოების დანგრეული მრეწველობის აღდგენას!

მაგრამ როგორ შეიძლება ლაგდვას „შავი ქვა“ საფუძვლად საკუთარ ვალიუტას?!

აი როგორ. „შავ ქვაში“ უნდა მოვითხოვოთ ინგლისური, ამერიკული ანუ ფრანგული ფული, სულ ერთია, ოქროთი თუ სხვა სახით. მათი ფულის განსაზღვრული რაოდენობა უნდა იყოს თავმოყრილი ხაზინაში, რომელიც უნდა იძლეოდეს უცხო სახელმწიფოს ფულს ქართული ფულის ნაცვლად.

ქართველმა ვაჭარი უცხოეთიდან საქონლის მოსატანად ქართული ფულის ნაცვლად ხაზინიდან უცხო სახელმწიფოს ფულს გამოიტანს, მაშინ კი ქართული ფულის ღირებულება უცხო სახელმწიფოს ფულის ღირებულებას გაუსწორდება და ყველაფერი გაიაფდება.

მაშასადამე „შავი ქვა“! აი რა უნდა დაედვას საფუძვლად საკუთარ ვალიუტას.

აქედან კი შემდეგი გამომდინარეობს. მთავრობამ „შავი ქვის“ დამზადებისა და გადატანის საქმე—სახელმწიფოებრივ საქმედ უნდა გამოაცხადოს. მაშასადამე მთავრობა უნდა ჩაერიოს „შავი ქვის“ დამ[illegible] გადატანისა და გადატვირთვის [illegible] მუშათა კავშირები განსაკუთრებულ რეგლამენტაციას უნდა დაუმორჩილოს. ერთი სიტყვით, მთავრობა ხსენებულ მუშებს ისე უნდა უყურებდეს, როგორც სახელმწიფო მოხელეებს, მაგალითად, რკინის გზის მუშებს, ფოსტის მოხელეებსა და სხ.

და, თუ მთავრობა ამ საქმეში არ ჩაერია და ეს საქმე მუშათა თავისუფალი კავშირის ხელში დარჩა, საკუთარ ფულს ვერ ვეღირსებით, სიძვირე თანდათან მოიმატებს და საქართველოს დამოუკიდებლობა კბილზე იქნება ამცნებელი.

ვასილ წერეთელი.

## პრესა.

### „რომანტიულ ხანის“ შემდეგ.

ამიერ-კავკასიის სეიმის პოლიტიკური დაკრძალვის შემდეგ ყოველგვარი აზრი დაეკარგა იმ სოციალისტურ ფრაზეოლოგიას „ერთა სოლიდარობის“-ს შესახებ, რომელმაც ქართველ მენშევიკებს მხოლოდ გულის სიგანიერე შესძინა. ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობის აღსანიშნავად მარტო კურს დაცემული ბონები დაგვრჩა კარჩიყიანისა და გეგეჭკორის ხელმოწერებით. ეს ასეა სინამდვილეში, ამაში დაგვარწმუნა რევოლუციის ორმა წელმა, ეს არ ჯერა მხოლოდ გაზ. „ერთობას“, ეს არ სწამთ მხოლოდ მენშევიკებსა და დღეს თბილისში, რომ ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენცია იხსნება „ერთობა“ ასე მოგვითხრობს სეიმის ეპოქის „რომანტიულ ხანას“.

ჩვენ ვიყავით გაერთიანებული გარეშე ძალით, რუსის ხიშტით, მისი მფარველობით და ბატონობით, ჩვენ ვიყავით გაერთიანებული რევოლუციის პირველი აღფრთოვანებით, მისი დიადი ლოზუნგებით, მაგრამ ამ ერთობის ხანამ უკვე განვლო, გაიარა, უცხო ძალი წავიდა, რევოლუციის აღფრთოვანება მინელდა, კლასობრივი ცხოვრების სიმწვავე მთელი თავის სიგრძე სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განით წინ წამოიჭრა, ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ პირობების გამო კლასთა ბრძოლამ აქ, ადგილობრივ ეროვნული მანტია მოისხა, ერთაბრძოლის სახე მიიღო და ამით მთლიანობის პირველი, რომანტიული ხანა დასრულდა მთლიანობის დარღვევით.

„კლასთა ბრძოლის" ფილოსოფიით ახსნა იმ კატასტროფიული წინააღმდეგობისა ჩვენსა და სომხებს შორის, რომ არსებობს, მენშევიკური, მთავრობის „რომანტიული ხანის" განმეორებაა და აქ გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ თვით მენშევიკური მთავრობის პოლიტიკას არ მიეღო აქტიური მონაწილეობა იმ „რომანტიულ ხანის" სამგლოვიარო პროცესიაში.

აზერბეიჯანთან, რომ ამ რამოდენიმე თვის წინად დავა გვქონდა საზღვრების გარშემო, გაზეთ „ერთობის" მეთაურში მაშინ სწერდენ: რამდენადაც ვრცელი იქნება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ამიერ-კავკასიის მაშტაბით, იმდენად უფრო ბედნიერი იქნება ამ კუთხის ყველა დემოკრატია. ტერიტორიის განმტკიცების საქმეში ასეთი დრასტიკი პოლიტიკის სტილი ჩვენთვის ნაცნობი სტილია, მაგრამ რატომ ჰგონიათ ჩვენი ქვეყნის მესვეურებს, რომ მაგალითად საქართველოს მთავრობა ქართველი ხალხის კანონიერი წარმომადგენელია და სომხეთის მთავრობა კი არა. ეს უკანასკნელი მთავრობაც ხომ ხალხის არჩეული და „რევოლიუციის მონაპოვარია". და აი სწორედ ეს მთავრობა ხელმძღვანელობს თავის ქვეყნის მანდატით, როდესაც საწინის ტრაგედიას ამზადებს, ხიდებს გვიფეთქებს, კონსპირაციებს გვიწყობს, ნუბარ-ფაშების შემწეობით „სომხეთის იმპერიის" პროექტს სწერს და უკანასკნელად კიდე პოლკ. ტამპერლეის საქართველოს საუკეთესო ნაწილებზე პრეტენზიას უცხადებს. საქმისათვის და ხალხისათვის [illegible] ეს შიშველი სომხურ-ეროვნული პოლიტიკაა და არა კლასიური. ეს რწმენა და ეს მსოფლმხედველობა უნდა შეჰყვეს ჩვენს დელეგატებს კონფერენციის დარბაზში. სწორედ ისე, როგორც ეს შეყვა ჩვენს მხედრობას გზრასა და არტაანში.

---

„ადმინისტრაციის თავგასულობა"

ბ. ნ. ჟორდანია სწერდა: ჩვენს პარტიაში შემოიჭრა ისეთ ხალხი; რომელიც პარტიის იდეოლოგიურ სიმტკიცეს ემუქრებათ. მენშევიკურმა იდეოლოგიამ ამ მხრივ უკვე იწვნია პარტიულ ლაშქარის მუქარა პრაქტიკულად და დღეს ჩვენ მენშევიკური მორალის გაკოტრების წინაშე ვდგევართ რაც დღევანდელ პრეზიდენტს მაშინ გათვალისწინებული არ ჰქონდა.

ჩვენი მთავრობის ადმინისტრაციაში, რომ უმთავრესად პარტიულ წევრებს ლებულობენ ეს ქვეყანამ იცის. ეხლა კი ამავე ქვეყანამ იცის და გაიგო, რომ ასეთი პარტიული შერჩევა ერთობ უვარგისი მეთოდი გამოდგა მართვა გამგეობის საქმეში. თვით „ერთობა" გრძნობს ამას და მთელი რიგი საერთო უწესრიგობის ჩამოთვლის შემდეგ სწერს:

კიდევ მეტი. ბევრ ადგილას თვით ადმინისტრაცია, მილიცია იღებს პირად მონაწილეობას ავაზაკობაში და მით სამუდამოთ სცემს რესპუბლიკის პრესტიჟს.

არც ერთი დარგი ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ჩვენს დღევანდელ პირობებში, როგორც ადმინისტრატიული აპარატის სათანადოთ მოწყობა. და არც ერთი დარგი ისე მოუწყობელი არ არის, როგორც ადმინისტრაცია.

ადმინისტრაციაში, მილიციაში ბევრი უვარგისია. ბევრი თვით ავაზაკობს. ბევრი ხელს უწყობს და ასე რესპუბლიკის ხარჯით რესპუბლიკასვე ძირი ეთხრება.

ადმინისტრაცია თავს იმართლებს იმით, რომ სასამართლო არ სჯის მათ მიერ დაჭერილ ავაზაკებს და მით მათ წინააღმდეგ ბრძოლას უნაყოფოთ ხდის. სასამართლო კიდევ ადმინისტრაციას სდებს ბრალს და ასე ერთი-მეორესთან დავაში იჭყლიტება მშვიდობიანი მოქალაქე. არას დროს არ ყოფილა მოქალაქის პიროვნება ისეთ საფრთხეში ჩაყენებული, როგორც არის დღეს და თუ არ იქნა სასწრაფო და განსაკუთრებული ზომები მიღებული ადმინისტრაციის გასაჯანსაღებლათ, შეიქმნება ისეთი პირობები, როცა შეუძლებელი გახდება რაიმე დიდებითი მუშაობის დაწყება-განგრძობა. ეს თითქოს შეიგნეს ადგილობრივმა ორგანოებმა და ამ მხრით პირველი ნაბიჯი გადადგა ფოთმა, რომელმაც დაითხოვა მილიციის მთელი შემადგენლობა და დროებით თვით მცხოვრებლებმა იკისრეს ქალაქის დაცვა.

რამდენათ ძლიერი უნდა იყოს ადმინისტრაციის თავგასულობა, თუ უმოქმედობა, რომ აქამდის მიიყვანოს მცხოვრებნი!

ფოთის მაგალითი მისაბაძი უნდა გახდეს და პირველ ყოვლისა მას უნდა მიბაძოს თფილისმა. საზოგადოებრივ ორგანოებს ერობებს და თვითმართველობებს—დღეს არ აქვს ამაზე უდიდესი საქმე. ამაზეა დამოკიდებული სხვა ყველა დანარჩენი.

კაჩუხოვის გასამართლება ერთად-ერთი მომენტი იყო ჩვენი ადმინისტრაციის ბოროტმოქმედების ისტორიიდან, რომელსაც დღის სინათლეზე გამოტანა ეღირსა და როგორ უნდა გავიგოთ „ერთობის" ეს წერილი, როდესაც ამ ადამიანის მოწმედ მთელი პარტიული „დიდი ბატონები" იყო დასახელებული? სად თავდება გულწრფელობა და სად იწყება ორპირობა?

---

[illegible]

(საქ. დეპ. სააგენტო).

**ნაქურდალის აღმოჩენა.**

ოზურგეთი. აპრილის 23. მაზრის კომისარმა ლიონტმა აპრილის 18 სოფელ ამაღლებაში ყარამან სიხარულიძის სახლში აღმოაჩინა ტომარაში ჩაწყობილი შემოქმედის მონასტრის ოქროსა და ვერცხლის ნივთები: გატეხილი ხატები, ბარძიმი, მიტრა და საცეცხლური. თვლები და სხვა—წონით 18 გირვანქა და 6 მისხალი. დაპატიმრებულია სიხარ ლიძე და სხვები. გამოძიებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში. გამოძიება სწარმოებს.

**ბოლშევიკებისა და ყაზახების ბრძოლა.**

თბილისი, აპრილის 24. ინგლისის მისიამ გადასცა სააგენტოს გამოსაქვეყნებლათ შემდეგი ოფიციალური ცნობა. დონის ფრონტი: აპრილის 15 რეჩნის ჩრდილოეთით დონის ყაზახებს მოუხდათ შეტაკება ბოლშევიკების ლაშქართან. ბრძოლა ყაზახების სასარგებლოთ დამთავრდა. მათ წამოიყვანეს მრავალი ტყვე, და ხელთ იგდეს 28 ზარბაზანი და რამდენიმე ტყვიის-მფრქვეველი. ძლიერი ბრძოლა სწარმოებს პეტროპავლოვსკის ჩრდილოეთით. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

---

# მთავრობაში.

აპრილის 15-ს მთავრობამ დაადგინა: ოჯახის ერთად-ერთ მარჩენალის ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების კანონპროექტი მოწონებულ იქმნას და დასტურისათვის დამფუძნებელ კრებას წარედგინოს.

— სამხედრო უწყების ხარისხოვანთა დებულების ცვლილების და ოფიცერთა და სამოქალაქო მოხელეთა შემდეგ ხარისხზე, აყვანის შესახებ კანონ პროექტი მოწონებულ იქმნას.

— სამხედრო კრედიტიდან, სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის განკარგულებაში 105,453 მანეთი გადაიდოს, ფოთის სამხედრო პორტის პირად შემადგენლობის ჯამაგირით დასაკმაყოფილებლად.

— სატრანსპორტო საზოგადოებისათვის გადასაცემ ქონების დამფასებელ კომისიის წევრებად ი. ყიასაშვილი და კახელაძე დაინიშნონ.

—ამიერ კავკასიის სამთო სამმართველოსთან არსებული სასინჯადო განყოფილება გაუქმდეს და იგი საქართველოს სამთო სამმართველოსთან დაარსდეს.

—თფილისის საზომ-საწონთა პალატა № 24 გაუქმდეს და დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკის საზომ საწონთა პალატა.

---

# ორი ძალა

**წერილი ქ. ვორონეჟიდან**

ძველ რუსეთის ნანგრევებში ე. ი. აწინდელ ბოლშევიკურ რუსეთში ამ ჟამად ორი ძალა იბრძვის:

ბოლშევიკურ კომუნისტური ანუ მპყრობელი პარტია და მეორე მემარცხენე სოციალისტ რევოლუციონერები. ცხოვრების ნორმალ განვითარების პირობების მიხედვით, რომ ვილაპარაკოთ, სახტიკად რომ დავიცვათ პრინციპი თანდათანობითი ევოლუციისა, არც ერთი დასახელებული პარტია დღეგრძელი არ უნდა იყოს.

მაგრამ დღეს საერთოდ შექმნილ პირობების წყალობით, ხანგრძლივობისგან გამოწვეულ ხალხთა მერყეობისა და გახრწნის გამო რუსეთის „სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა" სცოცხლობს და ძალასაც წარმოადგენს, რომელსაც მოსისხლე მტერნი ანგარიშს უწევენ. გაუმაძღარი ამაყი ანტანტა თავზრუ დასხმული ხელსართმევს მოსკოვის კომისრებს, მოკავშირენი ვერ ბედავენ საბჭოთა რუსეთთან ომით ანგარიშის გასწორებას, რადგან საფუძვლიანად ეშინიათ თავის ჯარის გაბოლშევიკების. ჩვენ შევეხეთ იმ კითხვას თუ რომელი ძალები იბრძვიან ამ ჟამად [illegible] რუსეთში და რას წარმოადგენენ ისინი. ბოლშევიკები ტიპიური თვითმპყრობელები გამოდგენ. დახვრეტით, მასიური დატუსაღებით ჯარიმებით და სიმკაცრით ნიკოლოზ პირველის და ფრიდრის მეორეს რეჟიმებსაც ბევრად გადააჭარბეს. ვერ ითმენენ მოწინააღმდეგეს, უბრალო მათ კრიტიკის მსგავსად თქმული სიტყვა საკმარისია, რომ მოპირდაპირეს ბნელ საკანეში ამოაყოფიონ თავი.

პრესა „სახაზინო" აქვთ. გამოდის მხოლოდ ბოლშევიკური გაზეთები, რომლებიც სუბსიდიებს ღებულობენ.

ბოლშევიკური მმართველობა ყველგან ზევიდან არის დანიშნული, არსად არ არის ის სახალხო ხალხისგან არჩეული. ბოლშევიკების მოსისხლე მტრად იმ თავიდანვე გამოვიდენ მემარცხენე ესერები. ეს პარტია მებატონე კომუნისტებს „სამოზვანცებს" თვითნება გამგებლებს, და თვითმპყრობელ კომისრებს უწოდებს, რომლებიც თავის მოქმედებით ღუპავენ სოციალურ რევოლუციის საქმეს.

მემარცხენე სოც. რევ. პარტიამ უკიდურესად გააკრიტიკა ბოლშევიკებისგან ხელ მოწერილი ბრესტის ზავი და, ბოლშევიკებს უწოდა რუსეთის მშრომელ ხალხის ინტერესების კაპიტალისტებზე გამყიდველი. მემარცხენე ესერები კატეგორიულად უარყოფენ ყოველგვარ შეთანხმებას არა სოციალისტურ ქვეყნებთან და ისინი მუდმივ ტერორით და აჯანყებებით მოითხოვენ მსოფლიო ბურჟუაზიის და კაპიტალის წინააღმდეგ დაუნდობელობის წარმოებას. მემარცხენე ესერებმა თავის სიტყვა რამდენჯერმე საქმეთ აქციეს. მათ მოსკოვში მოჰკლეს გერმანეთის ელჩი მირბახი და მოაწყეს აგრეთვე რამდენიმე აჯანყება ლენინ ტროცკის რეჟიმის წინააღმდეგ. მირბახის მოკვლა მემარცხენე ესერებს 200 პარტიულ ამხანაგის თავად დაუჯდა, რომლებიც დახვრეტილ იქმნენ სახალხო კომისრების ბრძანებით. ამის შემდეგ მემარცხენე ესერები კვლავ განაგრძნობდენ მუშაობას, მათ დაჰგმეს ჩიჩერინის ნოტა, რომელიც ანტანტასთან დაზავებას და შეთანხმებას გულისხმობდა.

23 თებერვალს [illegible] საბჭოთა გაზეთები [illegible] ში ესერებმა კვლავ გამოიწვიეს [illegible] ლებული გამოსვლის მოწყობა, რის გამოც დაატუსაღეს დიდძალი მემარცხენე ესერობა, მათ შორის ცნობილი მარია სპირიდონოვისა, სოლოგუბი და სოლოვიევი, დაჰკეტეს მემარცხენე ესერების ყველა გაზეთები და აუკრძალეს მათ სხვა სათაურებით გაზეთების გამოცემა, გამორიცხეს მთავრობის თუ რევოლიუციურ დაწესებულებებიდან და გამოაცხადეს კონტრ-რევოლიუციურ პარტიად.

ახლა საინტერესოა თუ რა ძალა აქვს მემარცხენე ესერებს რუსეთში. ამ პარტიას ნახევრად მაინც შეუნარჩუნებია ტრადიციული რაინდობა, ხალხი მას უფრო ნდომით უცქერის ვიდრე ბოლშევიკებს, მაგრამ როგორც ყოველთვის ხდება ძალის წინაშე იდრეკს მუხლს. ხალხი (გლეხობა მაინც) ყოველ მიტინგზე ესერების ლოზუნგებს ალმერთებს, ხოლო მეორე დღეს ისევ ბოლშევიკებს მისდევს, რადგან ეშინიათ მოსკოვის ბრძანებლების.

ჯარში ოფიცრების დიდი უმრავლესობა ესერებია, მაგრამ ლიტველების და ჩინელების წინაშე ვერც ესენი ბედავენ რასმეს.

ბოლშევიკურ რუსეთში 8 თვის განმავლობაში 35 აჯანყება იყო გლეხთა მიერ მოწყობილი, რომელიც უჩვეულო სიმკაცრით ჩააქრეს ჩინელებისგან შემდგარმა დამსჯელმა ექსპედიციებმა, აჯანყებებს ყოველთვის მემარცხენე ესერები ედგენ სათავეში. თუ მშრომელმა გლეხობამ მოახდინა და შესძლო მასიურ აჯანყებულად გამოსვლა, მაშინ ეჭვი არ არის რუსეთის სხეულს საჯიჯგნად მემარცხენე ესერები ჩაიგდებენ ხელში და ახლა ისინი დაიწყებენ ლათვების ქვეყანაში სოციალიზმის დამყარებას.

რუსეთის მამლაყინწებს სწამთ, რომ კიდეც რომ მოხდეს საერთაშორისო, რევოლუცია, მას იმ წამსვე სოციალიზმი მოყვება... დღეს აქტიურად ორი ძალა იბრძვის რუსეთის ნანგრევებზე. ბოლოს იმას დარჩება ვინც ამ ორ ძალას კისერს მოატეხიებს და რუსეთისთვის შესაფერ მმართველის როლში გამოვა, მაგრამ ეს ძალა ჯერ არ სჩანს... არ სჩანს ასეთი ძალა მის შიგნით. უბედურ რუსეთს, რომელიც საკუთარ ქვეყანაში მუდამ სხვის ბატონობის ქვეშ არის კვლავ დასჭირდება ვარიაგების ისტორიის განმეორება.

ირაკლი.

---

# ახალი ამბავი

**ქუთაისი.**

**კომისიების მუშაობა.** 24 აპრილს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გაიმართა საბჭოს იურიდიული, აგრარული და შრომის კომისიების სხდომა. აგრარულმა კომისიამ გამოიმუშავა ქალაქის ფარგლებში აგრარული რეფორმების გასატარებელი წესები. შრომის კომისიამ ნორმალური დასვენების ნორმა და იურიდიულმა კომისიამ იმჯელა ქალაქში ნაფიც მსაჯულთა კანდიტატების სიის შედგენის შესახებ.

✦ **ქალების გიმნაზიაში.** ქალების პირველ გიმნაზიაში თავის წარმომადგენლად ქალაქის საბჭომ აირჩია ხმოსანი კონსტანტინე სულაქველიძე.

✦ **სამილიციო უბნების დათვალიერება.** ქალაქის მოურავის ამხანაგმა სერგო რობაქიძემ დაათვალიერა ქალაქის სამილიციო ყველა უბნები და ქალაქის სამილიციო სადარაჯოები. რობაქიძემ წინადადება მისცა ყველა სამილიციო უბნის სამართველოებს მოუშორებლად ყოველ ჟამს მორიგი მილიციონერები სადარაჯოზე იდგენ და ფხიზელი თვალყურიადევნონ მათ ქალაქში სრული წესიერების დაცვას.

✦ **მკვლელობა.** სამთო უბნის მილიციაში მოკლეს კომისრის თანაშემწე შ. ლანჩავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ.). 24 აპრ.

## გერმანული პრესის ცნობები.

ხუთშაბათს ჰამბურგში, როგორც ქალაქში ისე მის მიდამოებში საქმე ისევ დიდ შეტაკებამდე მივიდა. ქუჩებში გამვლელთ თავს ესხმოდენ და სცარცვავდენ. ბრბომ ხელში ჩაიგდო თავდაცვის 2 ავტომობილი. შიგ მყოფ პოლიციელებს იარაღი აყარეს. მოხდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულია რამდენიმე და მრავალი დაჭრილია. ამ გამოსვლების გამო ჰამბურგსა, ალტონსა და ვანდსბეკში სახალხო წესები გამოაცხადეს. სახალხო თავდაცვის რაზმმა და პოლიციამ მკაცრი ბრძანება მიიღო, რომ დაუყოვნებლივ დახვრიტონ ყველა, ვისაც კი დაიჭერენ შეიარაღებულ თავდასხმასა და ცარცვაში, ან პოლიციისა და თავდაცვის რაზმელებისადმი წინააღმდეგობისათვის.

ქვანახშირის სიმცირის გამო მოსალოდნელია, რომ რკინის გზებზე მოძრაობა კიდევ შემცირდება. გალის ოლქშიაც მოძრაობა შემცირდება. კასელიდან იუწყებიან, რომ 72 მატარებელი შესწყვეტს მოძრაობას და მაინის ფრანკფურტს სამგზავრო და საბარგო მოძრაობის სრულიად შესწყვეტის საფრთხე მოელის.

საფრანგ. ცნობილი მფრინავი ვედრონი, რომელიც პარიზიდან რომში მიფრინავდა, გუშინ მონსის ახლო მოკვდა. პარიზიდან აფრენის შემდეგ გავიდა 4 საათი, რომ გამოურკვეველ მიზეზის გამო მანქანა ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

ციმბირის არმიამ ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებიდან 100 მილით წინ წაიწია. უკანასკნელათ ციმბირის არმიამ მდ. კამაზე აიღო სარაპული, რომელსაც ბოლშევიკები შედგრათ იცავენ.

საფრანგეთის მთავრობა ორშაბათს აპირებს დღესასწაულის გამართვას, როცა ადმირალი სერ დავიდ ბიტი 100 აფიცრის და 1000-ზე მეტი მეზღვაურის თანხლებით პარიზში ჩამოვა. დღისით „ინვალიდების სასახლე"-ში მას ზეიმით მიიღებს სამხედრო გუბერნატორი. შემდეგ აფიცრები, როგორც საპატიო სტუმრები, ინახულებენ პრეზიდენტს და დაესწრებიან ოპერაში საგანგებო წარმოდგენას.

იუწყებიან, რომ ზედ დრედნოუტს „ტენესი"-ს რომელიც მთელ მსოფლიოში უდიდესი გემი იქნება, ბრუკლინში ჩაუშვებენ წყალში. მისი წყალრწყვა 32,300 ტონისა და შეიარაღებულია 12 თორმეტ დიუმიანი ზარბაზნით.

## ინგლისის პრესის ცნობები.

მიუნხენში საბჭოთა მთავრობა დაეცა. სამხედრო ნაწილები, რომელნიც წითელ არმიას უნდა შეერთებოდნენ, აღარ სცნობენ საბჭოთა მთავრობას, ძალაუფლება კვლავ ჰოფმანის მთავრობის ხელშია. გამოცხადდა სამხედრო წესები.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ გადაწყვეტილია მოგერიებითი ომი აწარმოვონ ჩეხების, რუმინელების და სამხრეთის სლავიანთა წინააღმდეგ.

უნგრეთში სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაცია გამოაცხადეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი გამოცხადდენ, რადგანაც გლეხებს აწუხებს საბჭოთა მთავრობის არსებობა.

გუშინ საღამოთი გვიან მარშალ ფოშმა გერმანიიდან ტელეგრაფით პასუხი მიიღო იმ დეპეშაზე, რომელიც კვირას ოთხთა საბჭომ გაუგზავნა გერმანიის მთავრობას და აუწყებდა, რომ თუ დელეგატებათ მნელი პირები გამოგზავნეს, ისინი არ სცნობენ მათ. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ რწმუნება და უფლება საზავო პირობების ხელმოსაწერათ. გუშინდელ დეპეშაში ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგაცია შესდგება 6 მაღალი თანამდებობის პირისაგან. დელეგაციის თავმჯდომარეთ იქნება გრაფი ბროკდორფ-რანცაუ. დელეგაცია მომავალ ორშაბათზე ადრე არ ჩამოვა.

ამნაირათ, გერმანელების გეგმა ვერ განხორციელდა, თუმცა საქმე მაინც შეაფერხეს. ამის გამო საზავო ხელშეკრულებას შაბათის მაგიერ ორშაბათს წარუდგენენ გერმანელებს. ფიქრობენ, რომ ამ კვირაში კონფერენციის რამდენიმე სხდომა მოხდება მომავალ კვირის ამბებისათვის მოსამზადებლათ.

პარიზიდან იუწყებიან, რომ ბეატრისა ფიორბს რობერტსონმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ ბრიტანიის მუშათა პარტია არას დროს არ აყვება ბოლშევიზმს. დიდ ბრიტანიაში აზრათაც არ მოსდის არავის რევოლიუციის მოხდენა. რეფორმები ისე გატარდება, რომ წესრიგი არ დაირღვევა. რევოლიუციონური პროცესი აუჩქარებლივ ჩატარდება, თანდათანობით იქნება გადადგმული ნაბიჯები, რადგან ხალხმა ომის დროს შეიგნო თავის ძლიერება.

გენერალი უილიამ რობერტსონი კელნში ჩავიდა, რათა რეინზე მყოფ ინგლისის ჯარის სარდლობა გასწიოს.

ოთხთა საბჭო კიაოჩაოს საკითხის გარჩევას სამშაბათს აპირებს. შანდუნგის საკითხი დროებით გადაიდო. იტალიის მოთხოვნილებამ კონფერენცია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ ჯერ კიდევ არის იმედი, რომ შეთანხმება შესაძლებელია. ორლანდოს წასვლა გადაიდო. დეპუტატების სხდომა მაისის 5 თვით გადაიდო. მოელოდნენ, რომ იტალიელები დაესწრებოდნენ ოთხთა საბჭოს შუადღის სხდომას, მაგრამ ისინი არ გამოცხადდენ, ეს შესაძლებელია ჩაეთვალთ კონფერენციიდან წასვლის მუქარათ, მაგრამ ეს, აშკარაა, იმიტომ მოხდა, რომ ოთხთა საბჭოს სურდა ჯერ იაპონიის საკითხის განხილვა, რათა იტალიელებისთვის მოსაფიქრებლათ დრო მიეცათ და შემდეგ დაბრუნდებოდნენ მათ მოთხოვნილებათა განხილვას. დილის სხდომის შემდეგ კლემანსო, [illegible] და ლოიდ ჯორჯი დიდხანს მსჯელობდნენ შექმნილ მდგომარეობაზე. მთავარ შტაბში მათ ვერ აუხსნეს, თუ იტალიელები ბოლოს და ბოლოს დაეთანხმებიან გონიერ საბუთებს, თუმცა ზოგი მათგანი დაბეჯითებით აპირებს წასვლას. როგორც ამბობენ, ლოიდ ჯორჯი და კლემანსო ვილსონს მხარს უჭერენ ფიუმეს საკითხში.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ლოიდ ჯორჯი დათანხმდა ამერიკა-ირლანდიის დელეგატები მიიღოს მომავალ კვირაში. პრემიერს სურს მოუსმინოს დელეგატებს და, ალბათ, თავის მხრით ვრცელ პასუხს გასცემს, რათა განმარტოს ის უთანხმოება, რომელმაც თავი იჩინა ინგლისისა და ამერიკის შუა. ლოიდ ჯორჯი მზათ იყო ამ კვირაში მიეღო ისინი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ბევრია ისეთი საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს კონფერენციამ, და ამის გამო დელეგატებს სთხოვა გადაედოთ წასვლის დღე. საქმის მდგომარეობა, რომელიც თითქმის არ აკმაყოფილებდა შეერთებულ შტატებს, ეხლა ირკვევა. ლოიდ ჯორჯს არაფერი აქვს საწინააღმდეგო მათთან თანამშრომლობისა, მათი განმარტების მოსმენისა და მზათაა მათთან ერთათ განიხილოს მთელი საკითხი, მოლაპარაკება წინათ ისე სწარმოებდა, რომ შესაძლებელი იყო მხოლოდ საქმის გართულება. იმ პირს, რომელიც მათ ხელმძღვანელობდა, მხოლოდ მიზნის მიყენება შეეძლო ინგლისსა და ამერიკის შორის არსებულ მეგობრულ განწყობილებისათვის.

ლოიდ ჯორჯმა მალე მონახა ასეთ მდგომარეობიდან გამოსავალი იმით, რომ დელეგაციის პირადათ მიღების სურვილი განაცხადა, რათა ამნაირათ დაემტკიცებინა, რომ ის მზათაა ამერიკელებთან ერთად იმუშაოს ინგლისისათვის უმნიშვნელოვანესი და უმძიმესი საკითხის გადასაჭრელად.

### ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი, 23 აპრილი. [illegible] არმიის შტაბი. აპრ. 22, იმ გარემოებამ, რომ ვოლგის მხარეს საფრთხე მოელის, მაჰმადიან მცხოვრებთა შორის რევოლიუციონური განწყობილება შექმნა. ალაფუზის მაჰმადიანმა მუშებმა განაცხადეს, რომ მზათ არიან იბრძოლონ რუსეთის, და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და მოითხოვენ მკაცრი ზომები მიიღონ დეზერტირების წინააღმდეგ და დაუნდობელი ბრძოლა აწარმოვონ შეთანხმების სახელმწიფოთა პოლიტიკის წინააღმდეგ. მაჰმადიანები მოუწოდებენ რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს, რათა, სწრაფად დაეხმარონ წითელი ყაზანის და წითელ ვოლგის მხარის დაცვას კოლჩაკის მონარქისტულ ბანდებისაგან. ოსმალეთში მოხდარ რევოლიუციის ამბავმა უფრო გააძლიერა მათი აღფრთოვანება. ყველა მაჰმადიანი მუშები ეწერებიან მაჰმადიან მუშათა წითელ პოლკებში. სამხედრო ცნობა, აპრილის 22. ჩრდილოეთის ფრონტი შენკურსკის მიმართულება. ჩვენმა ჯარმა გრიშინსკოე დაიჭირა. სამხრეთის ფრონტი მარიუპოლის დასავლეთით ჩვენ მანგუში და თემრიუკი დავიჭირეთ. იუზოვის სამხრეთ და დასავლეთით რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ლუგანსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 10 ვერ. წინ წავიწიეთ და რამოდენიმე სოფ. დავიჭირეთ კამენკა-ფრიშიცის ხაზზე. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის რაიონი: მტერმა დიდი ძალებით შემოგვიტია და მკაცრი ბრძოლების შემდეგ რამოდენიმე სოფელი დაიჭირა შიპოვის რაიონში, ურალსკის დასავლეთით 75 ვერსის სიშორეზე. ურალსკის ფრონტთან, სკვორეშინთან ბრძოლა გრძელდება, ბუგურუსლან-ბუგულმის რაიონი: ბრძოლა გრძელდება. ჩისტოპოლის მიმართულება: ჩისტოპოლის აღმოსავლეთით, მიუხედავათ მოწინააღმდეგის დიდი ძალების შემოტევისა, ჩვენი ჯარი პოზიციებს არ ანებებს მტერს. ელაბუგის რაიონი: ელაბუგიდან 30 ვერსზე ჩრდილო-აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ.

---

## გერასიმე მებრელიშვილს.

(ჩოხატაურში)

ძვირფასო გერასიმე!

ნუ თუ სინამდვილეა შავი ამბავი? გრიშიკო აღარ გვყავს?..

ვაი ჩემო თავო!.. ელდა ნაცემი [illegible] ჯერ კიდევ ვეძებ ჩემს ძმიკოს... ვერ წარმომიდგენია გრიშიკო მკვდარი. მე კი ცოცხალი!.. ჩვენ ერთნი ვიყავით, ერთ გზაზე მავალნი... მტერთა თავდასხმის ასპარეზზე გმირულ ბრძოლაში განგმირულა გრიშიკოს ჰაბუკი გული!..

მხედარმა მითხრა: გრიშა ყველას ჩამორჩა და მოზღვავებულ მტერს მარტოკა თავგანწირულად შეება!..

ცეცხლმა, დაუდეგარმა მუდამ მომცინარმა გრიშიკომ სამშობლოს ომში ჰპოვა სიწყნარე!..

შარშან ერთ ფრონტზე მეუბნებოდა: ვგრძნობ, რომ მალე უნდა დავეცე. ეჭვი არ მეპარება რომ შენც ჩემს გვერდით იქნები, მაგრამ თუ ისე მოხდეს, რომ მე შენზე ადრე მომესპოს სიცოცხლე, მამა მოხუცი შენ მინუგეშეო და თუ შენ დაიღუპე უწინ, შენიანები მე მებარებოდესო. მე გაუჯავრდი: ეგ უადგილო ლაპარაკია-თქო!.. და დღეს მართლაც აღარ არის გიჟი გრიშა!...

თქვენ საყვარელო გერასიმე იამაყეთ რომ ქვეყანას, ერს გრიშიკო გმირი გამოუზარდეთ და მამულის წმინდა სამსხვერპლოთ მიიტანეთ...

ერი მის სახელს ვერ დაივიწყებს. სამშობლო მადლობას გეტყვით მამას!..

მე კი ვშფოთავარ რომ იმ განწირვის წამს გრიშას გვერდით არ ვიდეგ. როგორც სხვა დროს, მის წინაშე დამნაშავე ვარ!...

ის იბრძოდა—მე ტყვეთ უსარგებლოდ დავხეტიალობდი!..

ვინატრებდი შენდობას და დანაშაულის ბრძოლის ველზე გამოსყიდვას.

მე მივალ ჯერ იქ—იმ ალაგას, სადაც მტრის ტყვიისაგან გრიშას წაგრთვა ნორჩი სიცოცხლე!..

მერე მოვალ საყვარელ ძმის საფლავზე!.. სათქმელს ვეტყვი!...

ივერიის ერთგული შვილები [illegible] დენ მისებრ სიკვდილს. გრიშიკომ [illegible] თავისი ქვეყნის წინაშე სახე[illegible] იხადა...

ვაშა მის მშობლებს... დიდება გმირისს სულს!..

ი. დიდიძე.

საქართველოს სამხედრო გზა აპრილის 8.

---

## მევენახეთა საყურადღებოთ

### როდის უნდა უწამლოთ ვენახებს შაბიაბანით.

შაბიაბნისა და გოგირდის ნაკლებობას და სიძვირეს ზედ ემატება ის გარემოება, რომ ბევრმა ჩვენგანმა მევენახეებმა არ იციან დანამდვილებით ის განსაზღვრული დრო, თუ როდის უნდა ეწამლოს ვენახებს და ეს კიდევ უფრო ართულებს მათ უმწეო მდგომარეობას. შაბიაბანი დღეს რომელიც ოც მანათათად იყიდება გირვანქა და იმედი მაქვს ჩვენი სპეკულიანტებისა, რომ რაც უფრო მოახლოვდება ვენახების წამლობის დრო, იმოდენათ ასწევენ მის ფასსაც ასე მამა სისხლათ ნაყიდი შაბიაბანი რომ კიდევ შეცდომით და უდროოთ იქნეს ნახმარი მევენახისაგან ეს მართლა რაღაც საშინელება იქნება.

შაბიაბნით წამლობა უნდა ხდებოდეს ოთხი ხუთი დღის წინათ სანამ ვენახს ჭრაქი გაუჩნდებოდეს. ვიცით როს ჭრაქი უჩნდება ვენახებს სხვა და სხვა რაიონებში სხვა და სხვა დროს: ეს არის დამოკიდებული იმაზე თუ სად როგორი სითბო სიგრილეა („ტემპერატურა") და იცის ცვარი და წვიმა; ან სად უფრო ჩქარა იზრდება ვაზის ნორჩი კვირტები.

ჯერ საქართველოში არ არის დაბეჯითებით გამოკვლეული ყველა რაიონები, სახელდობ რომელ რაიონში რომელ რიცხვში ჩნდება ვენახებში ჭრაქი. საფრანგეთი მაგ. მოფენილია მეტეოროლოგიური სადგურებით და მცოდნე პირებით. იქ უკვე იციან დიდი ხნის ცდისა და დაკვირვების აღნიშვნის შემდეგ თუ როდის მოევლინება ჭრაქი ვენახებს; მაგ. ბურგუნდიაში, ბოჟოლეში, შამპანიაში ჭრაქი ჩნდება 10 ივნისის შემდეგ: სამხრეთ საფრანგეთში კი შუა მაისის შემდეგ ახალი სტილით; მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის და ყველაფერი დამოკიდებულია სითბო სიგრილეზე და სინოტივეზე:

მაგალითად 1908 წ. გერმანიაში და შამპანიაში ჭრაქი გაუჩნდა ვენახებს 24-25 მაისს; 1910 წელს. კი 25-26 ივნისს; მთელი თვეა განსხვავება.

ჩვენში სამეგრელოში, გურიაში, აბხაზეთში, ართვინის მხარეში და ქვემო იმერეთში ჩვენის დაკვირვებით როცა ნორმალური სითბო სიგრილეა (ტემპერატურა] ჭრაქი უჩნდება ვენახებს 20 მაისის შემდეგ. ზემო იმერეთში, ოკრიბაში და რაჭა ლეჩხუმში არსად მაისში (ახალი სტილით) ჩვენ ჭრაქი არ შეგვიმჩნევია.

მაშასადამე საზოგადოთ უნდა ვივარაუდოთ წამლობა შაბიაბნით პირველ აღნიშნულ რაიონში ათიდან თუთხმეტ მაისამდე, ხოლო მეორე რიგის რაიონში 25-30 მაისამდე. კიდევ უფრო რომ გაადვილეს ჩვენი განმარტება ურჩევთ ჩვენს მევენახეებს: როგორც ვაზის ნორჩი ყლორტები შეიქნეს სიგრძით სამი ჩარექიდან არშინამდე, მაშინ უწამლონ.

კ. ზურეკაშვილი.

---

## პასუხად გაზ. სოც. დემოკრატში მოთავსებულ „თანამედროვე სკოლის" ავტორს, „დონ—ჩინს".

შევდივარ ბ. „დონ—ჩინო", თქვენს მდგომარეობაში, როდესაც თავს დასტირით თანამედროვე სკოლას; ვსწუხვარ, რომ რაღაც გამოცდების მოლოდინი გულს გილონებსთ და თვალებისთვის გიმზადებსთ გაზაფხულის ცრემლებს შემოდგომაზე დაღვრილ ცრემლების ნაკადულთან შესაერთებლად.

ვინაწილებ თქვენს მწუხარებას, რომელიც გამოიწვევია განათლების ყოფილ სამინისტროს, როდესაც მან ქუთაისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებლების რევიზიის დროს შეუკრებია დირექტორები და დაუვალებია მათთვის რაღაც გამოცდების საკითხის გადაწყვეტა.

სამწუხაროა ჩემო ძვ. „დონ-ჩინო" ეს შემთხვევა მხოლოდ მაშინ, თუ მართლა სამინისტროს აზრად ჰქონდა განეახლებია შკოლებში ისეთი გამოცდები, როგორსაც თქვენ ასურათებთ და ან თუ წარმოუდგენია მას ცხოვნდელ შკოლაში ისეთი მასწავლებლები, როგორიც თქვენ წარმოგიდგენიათ.

ციჩქარი განუჩევში ჯერ მით, რომ მე პირადათ არ შემიძლია ასე გაუკებრად ჩორქი მოვსცხო ხსენებულ სამინისტროს და მივაწერო მას ის ბავშური აზრი, თითქო მას სურდეს თანამედროვე შკოლაში გაამეფოს ლაბი მასწავლებელი, ლურჯი ან წითელი მაგიდა და მის წინაშე შიშით აკანკალებული და ფერმკრთალი მოწაფე. საქმე ალბათ ასეთი იყო, რომ ყოფილ სამინისტროს რევიზორებმა ნდობით აღჭურვილ დირექტორებს ურჩიეს პედაგოგიურ საბჭოებთან ერთად განიხილონ საკითხი თავ-თავიანთ გიმნაზიებში სწავლა-მეცადინეობის საქმესა და თუ რომელიმე ნაწილში ეს საქმე კარგად არ არის დაყენებული, იმ შემთხვევაში სხვა საშვალებასთან ერთად მიმართონ სუსტი მოწაფეებისთვის გამოცდებ-კომისიებსაც და არა იმ უსამართლო გამოცდებს, რომელსაც თქვენ ასურათებთ.

განუჩევშით რა ჯერ-ჯერობით ამით, ეხლა შენ გკითხავ ამხ. „დონჩინო", როგორ მოიქცეს ისეთი სასწავლებლის ხელმძღვანელი, რომლის მასწავლებელი სასწავლო წლის განმავლობაში 100—200 მეტს გაკვეთილს ნებით თუ უნებლიეთ გააცდენს, და შენიშვნის მიმცემს ხელმძღვანელს თვითონვე უწყრება, პრესაში უკიჟინებს — შენ ადგილზე არ ხარო, შავ-ბნელ ძალების მსახურად სახავს, თუ მან პედაგოგიურ საბჭოში, ასეთი მასწავლებლის წყალობით ჩამორჩენილი მოწაფეების ცოდნა-არცოდნის საკითხი დასვა, ყაზარმის კომანდირად ნათლავს თუ მან შკოლაში სასურველ დისციპლინაზე ხმა ამოიღო.

ნუ თუ იდეური შკოლა ის არის, სადაც მასწავლებელი კლასში უმეტეს ნაწილად არ დაიარება, დისციპლინაზე კრინტს არ დასძრავს, მოწაფის ზნეობრივ აღზრდაზე ერთსაც არ დალაპარაკებს, მის ცოდნა-არცოდნაზე ლაპარაკსაც გიკრძალავს ხოლო თვის ოც რიცხვში მოწაფის მშობლის ოფლით ნაშოვარ ფულს ჯიბეში სინდისის შეუწუხებლად იდებს? ხოლო ის უფროსები და მასწავლებლები, რომელნიც თვისი სინდისის წინძღოლით შრომობენ, შრომას აჩვევენ მოწაფეებს, მათსა და მათი მშობლების წინაშე თავიანთ ვალს სინდისიერად იხდიან, მშობლების ფულს ცუდად არ აფუჭებენ, თქვენის აზრით ბ. „დონჩინო" სამშობლოს მოღალატენი არიან? მსჯელობაც ასეთი უნდა.

თქვენგან დაცმირებულ რევიზორების კრებაზე მარტო ნაკლს რომ უჩხრეკავ, ამხ. დონჩინო, რატომ ღირსებასაც არ უხსენებ მას? მოიგონე იმ კრებაზე თვით მინისტრის ყოფილ ამხანაგისაგან ძმური რჩევა დირექტორებისადმი, რომლით გააფრთხილა ისინი — ეცადონ ხატები სასწავლო ოთახებიდან გამოიტანონ, მოსწავლემ პირზე ჯვარი არ დაისახოს, ლოცვა არ წაიკითხოს და მასწავლებლის, მშობლების და მამულის თავი არ შეავედროს უფალსა; მით მაინც ინუგეშე, ამხ. დონჩინო, რომ ასეთი რჩევა-დარიგება მინისტრისა არ დარჩენილა „ხმად ღაღადებისა უდაბნოსა შინა" არამედ გამოიღო ნაყოფი კეთილი და აჰა ვხედავთ ჩვენ ამის შემდეგ ერთ გიმნაზიაში მასწავლებელს, რომელიც თვისი გულმოდგინებით გამსჭვალული, შევიდა რა კლასში და გაიგონა პატარა მოწაფისაგან ლოცვის წაკითხვის დაწყება, და რომ უნდა ეთქვა ბავშს: „კურთხეულ ხარ უფალო ჩვენო მთავარნი, მშობელნი და მასწავლებელნი, მიმყვანელნი ჩვენი ცნობად კეთილისა..." შევარდა ყვირილით და შეაწყვეტინა ბავშს ლოცვა: „არა გაქვს მაგის ნება, დაჯექ შენთვისო" ხომ ხედავ ძვ. დონჩინო, როგორ შეშუქებულა შკოლაში ახალი სული მინისტრისა და როგორ დასტირი მას!

მესმის გოდება თქვენი, ძვ. დონჩინო, რომ ქუთაისის ერთ გიმნაზიის სათავეში ყოფილი კაპიტანია, რომელსაც გიმნაზია ყაზარმად წარმოუდგენიაო, და ვჩქარობ აქაც განუგეშო. ეს პირი გახლავს ქუთ. ქალთა პირველი გიმნაზიის პედაგოგ. საბჭოს თავმჯდომარე, ბ. ივ. კუჭუხიძე, რომელიც დიდაც იყო კაპიტანი და თავის დანიშნულებას სინდისიერად და პირნათლად ასრულებდა. მკვირცხლი მეომარი სამშობლოს წინაშე ვალს თავდადებულად და შეურცხვენლად იხდიდა. რომ შეგნებული ოფიცერი იყო, ამას ნათლად მოწმობს სხვათა—შორის ერთი შემთხვევა მისი სამხედრო სამსახურის ასრულების დროს, რომლით მან მრავალნაირად დაიმსახურა ჩვენი თავისუფალი სამშობლოს წინაშე, შეუნარჩუნა რა ერთ შემთხვევაში სიცოცხლე და ნაყოფიერი მოღვაწეობა ჩვენს საზოგად. სათაყვანებელს და სახელმწიფოს სათავეში მყოფს დიდ პიროვნებას, მაშინ ჩავრულს, დევნილს; და ეს მოახდინა იმ დროს და იმ პირობებში, როდესაც შავ-ბნელ ძალას ბრჭყალებში ჰყავდა ყველა და ასეთი საბედისწერო მოქმედება ი. კუჭუხიძისა, ჩემის აზრით ჩაითვლება ერთ უდიდეს მსხვერპლად ჩვენ თავისუფალ სამშობლოს წინაშე, დღეს კი უმაღლესი სწავლით აღჭურვილი, სასკოლო ასპარეზზე გამოსული ურთგულესი პედაგოგი, კომანდირად მხოლოდ იმ მასწავლებლს და მოსწავლეს მოეჩვენება, ჩემო ძვ. დონჩინო, რომელსაც იგი მოვალეობის სინდისიერად შესრულებას მოსთხოვს.

ჩვენ იმერლები ვართ და საერთო სინა-კინკლაობა გვჭირს. იდეების ტეორეტიულად გაჰყვირილს ის სჯობია პრაქტიკულად სინდისს ქვეშ ვალი [...] და თუ როგორ დება გვაქვს პედაგოგ[...] ხელი ხელს ჩავკიდოთ, შური და კინკლაობას თავი გავანებოთ, შკოლის ხელმძღვანელს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდაში ნამუსიანად მივყვეთ, მშობლებისაგან ფული ოციან რიცხვებში სინდისის სიმშვიდით მივიღოთ, ერთმანეთის პატივისცემის მაგალითი მოწაფეებს ვუჩვენოთ, საქმეზე ერთგულად ვიქნეთ და მაშინ არც ერთი ჩვენთაგანი სამშობლოს მოღალატე არ იქნება და ყოფილი კაპიტანი მე და შენ თვალში ჩხირად არ გვეყოლება.

მდ. პლ. ცქიტიშვილი.

## მეტი ყურადღება ახალთაობის აღზრდის საქმეს ჩვენში.*)

(გაგრძელება).

დღეს, როცა რუსეთის დიდი რევოლუციით შექმნილმა ჩვენი ქვეყნის თავისუფალმა განვითარებამ გვიკარნახა ყოველივე დარგის წარმოების ნაციონალიზაცია, გაეროვნება, რასაც მთავრობიდან დაწყებული ყველანი აღიარებენ საჭიროა წარმოებდეს ქართულის სწავლა არა მარტო შკოლაში, ოჯახშიაც და აგრეთვე დაწესებულებებში, სადაც ქართული ენის, ტერმინოლოგიის უცოდინარობა ძლიერ აბრკოლებს სხვადასხვა დარგების გაეროვნებას.

დღეს ყველგან ერთი მეორეს შესჩივიან მოსამსახურეები ქართულის უცოდინარობას, სპეციალური ტერმინების უქონლობას და თითო-ოროლა ქართულის მცოდნე პირებს ემუდარებიან დახმარებას ამა თუ იმ დარგის გაქართულებას, ტერმინოლოგიის შემუშავებას. ამ საქმეებისათვის დგება კომისიები, მუშავდება ტერმინოლოგია, ადგენენ სახელმძღვანელოებსაც; ცერძოთ და კოლეგიალურათ. ნაშეტურ გაცხოველებული მუშაობაა ამ დარგში ქუთაისში, სადაც სახელმძღვანელოების მწიგნობრობის ბაზარი ავსებულია ყოველგვარ ვარგის თუ უვარგის სახელმძღვანელოებით. ხოლო მათი კრიტიკულათ გამრჩევი, მეცნიერულათ დამფასებლები ამ ხანათ არავინ ჩანს; ისინი უკრიტიკოთ ვრცელდება.

მაგრამ ამგვარ ნაფუცფუცებით მოგვარებულ ამ დიად საქმეს დიდი ხნის მორჩი როდი ექნება. საჭიროა ბავშვების, ახალთაობის საფუძვლიანათ ოჯახიდანვე ქართულათ განვითარების საქმე მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთ.

მიუხედავათ ჩვენი ახალ ცხოვრების ასეთ მიუკიდებელ საჭიროებისა, დღევანდელ ქართულ ოჯახს მაინც არ ეტყობა მეტი ყურადღების მიპყრობა ბავშვების ქართულ ნიადაგზე აღზრდის საქმეში, მათთვინ თუნდაც ორიოდე საბავშო ჟურნალის გამოწერის სახით იშვიათად ქართულ ოჯახში ნახავთ „ნაკადულს და ჯეჯილს" ბავშვების გონების ქართულათ გასაწრთობათ.

ბავშვები დღესაც დეჟეის ანაბარათ არიან მიტოვებულნი და მათი გონებაც ქუჩების სასენსაციო ამბებით, ჭორებით, დედის თუ დედინაცვლების და გოგო-ბიჭების ადამის ჟამის ზღაპრებით იკვებება, საზრდოობს; ისინი ლიტერატურულ-მეცნიერულ და ზნეობრივათ განმავითარებელ საზრდოობას მოკლებულნი არიან.

და ყოველივე ეს ხდება მოშეტებულათ იმერეთის დედა ქალაქ ქუთაისში, რომლის ოდენა ახალგაზრდობის პარტიულათ აღმზრდელ ხელმძღვანელი ინტელიგენცია არც ერთ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში არ მოიძებნება. აქ ხომ სრულიად გაუვითარებელ, მოუმზადებელ ახალგაზდებს, ბავშვებს წრთვიან ამა თუ იმ პარტიულ საქმიანობაში, უნერგავენ ერთი მეორის ზოოლოგიურ მძულვარებას, ანტი-პედაგოგიურ ქიშპობას, რაც შემდეგში მათ [...] კრიტიკის უნარს უხშობს [...]დებას უძლურებს. ამ ნაირის აღზრდით კი ახალთაობა ირყვნება არა თუ დასაწყისში, საშუალო სასწავლებლებშიაც კი და შემდეგ მათი გამობრუნება, კეთილ, სწორ გზაზე დაყენება ძალიან და ძალიან ძნელი ხდება. ასეთი მოვლენა სამწუხაროთ ემჩნევა ქუთაისის მოსწავლე ახალგაზდობის 70-80 პროც., რასაც სულ ადვილათ ქუთაისის ბულვარზე გავლა-გამოვლით მარტო შეამჩნევთ.

ბავშვებს კი აშკარათ ემჩნევათ გულდაგული მიდრეკილება საბავშო ლიტერატურიდან ზღაპრების, მოთხრობების, ლექსების, ადვილ გასაგებ ისტორიულ, მეცნიერულ წერილების კითხვისა წიგნაკებსა და ჟურნალებში. ისინი ასეთ საკითხავ წიგნებს გაფაციცებით დაეძებენ. წიგნის მაღაზიებში ისე არ შევლენ, რომ დედას, მამას, აღმზრდელს ან ვინც თან ახლავს არ მოთხოვონ: მიყიდე; დედა საკითხავი წიგნი, ნახატებიანი ჟურნალიო და დაიწყებს, ფათურს თაროებსა და მაგიდებზე გამოფენილ წიგნ-წიგნებისა, თუმცა ბოლოს აღმოჩნდება, რომ ჩვენი წიგნის მაღაზიებს არც იმდენი ამოსარჩევი საბავშო წიგნები მოეძევებათ, რომ მოწყურებულ მოწაფეებს გონებითი საზრდოთი უხვათ გაუმასპინძლდენ. სამწუხაროთ საბავშო ლიტერატურა სხვა დარგებისაზე გაცილებით ღარიბი გვაქვს. მცოდნე და უფრო უცოდინარნი პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან და საბავშო ლიტერატურის შექმნისათვის ვერავის მოუცლია. ამის ასალორძინებლათ არც თავს და მით უფრო არც ჯიბეს იწუხებს.

ბავშვების ბუნებრივმა, ზოოლოგიურმა მგრძნობიერობამ რომ წინ გაასწრო მშობლებისას, ამის დამადასტურებელი სხვათა შორის ის ფაქტიცაა, რომ კანტორამ „იმერეთში" თითქმის ყოველ დღე შემორბიან მოწაფეები სხვა და სხვა სასწავლებლისა და დაინტერესებულნი მორცხვათ კითხულობენ: „ძია! ხომ „ნაკადული", „ჯეჯილი" არ მოგვსვლიათ? როდის მოვლენ, რატომ იგვიანებს, რა მიზეზია? მისწერეთ ჩქარა გამოგზავნონ, საკითხავი არაფე[რი] გვაქვს და სხ. ამგვარი შეკითხვებით გულდაწყვეტილნი მიდიან [...], როცა გამოწერილ ჟურნალებს ვერ დავახვედრებთ ცქვიტებს.

ამგვარივე მეორე მაგალითი ისევ კანტორის ცხოვრებიდან. წარსული ორი თვის განმავლობაში ბავშვებისაგან თავი გვქონდა მობეზრებული ბაქოში სომხურ საზოგადოების მიერ გამოცემულ ქართულ ნახატებიანი ჟურნალის „წალებიანი კატა"-ს გამო რომელიც თბილისიდან 5—6-ჯერ ზედიზედ გამოვიწერე და მაინც კიდევ ვერ აუვედი მათი კითხვის მოთხოვნილებას ბავშვებისგან. და დღეს, როცა კონტრაგენტმა თბილისიდან განმეორებით მაცნობა გამოილია ეს საბავშო გამოცემაო, აქაური ბავშვები მაინც გვეკითხებიან კანტორაში და ქუჩაში: „ძია, როდის მოგივათ „კატა"".

ასეთია ბავშვების უზომო წყურვილი ქართულ საკითხავ წიგნებზე, მათ დაკმაყოფილებაზე კი მხოლოდ ცოტანი ზრუნავენ მათი მშობლები და უმთავრესათ კი ჩვენი ძველი თაობის გამოცდილი პედაგოგები და ახალთაობის ახლგაზდა ხელმძღვანელნი შკოლებსა და ცხოვრებაში. მათაც საჭირო თუ არასაჭირო პარტიულმა მუშაობამ სულ გადააფიწყა თავიანთი პირდაპირი მოვალეობა—ოჯახსა და შკოლაში მოზარდი თაობის ნამდვილ აღზრდა განვითარებისა გარეშე სავალდებულო გაკვეთილების მოხელისებურ მიცემისა. ამ აზრით მათგან ძალიან და ძალიან ნაკლები ინტენსიური მუშაობაა და ესაა ერთი მიზეზთაგანი, რომ მოწაფეთ გული აქვთ აცრუებული შკოლურ თუ ოჯახურ თვით განვითარებაზე. მეცნიერულ-ლიტერატურულ მომზადების დღეს ისინი ქუჩა ქუჩა სიარულს, უაზრო სენსაცია-დემონსტრაციებს და პოლიტიკით გატაცებას ანდომებენ, სერიოზულ მეცადინეობას აღარ დაეძებენ, სწავლობენ მხოლოდ და მარტო დიპლომის მისაღებათ, სტუდენტის ცისფერ არშიიან ქუდის დასახურათ...

ის. ქვიცარიძე.

(შემდეგი იქნება).

*) გუშინდელ ჩვენს გაზეთში ხსენებული წერილის ის ადგილი უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი რომელიც დღეს ისტამბება და შემდეგ დასხმული, რომელიც გუშინ დაიბეჭდა.

## კორესპონდენცია.

### სოფ. დიდი-ჯიხაიში.

ოთხშაბათს აპრილის 23 აქ ჭიმართა სოფლის ყრილობა. შეკრებილ ხალხს აუწყეს რესპუბლიკის ჯარის შეტევა შავი ზღვის გუბერნიაში: ახლად მოსულებმა გააცნეს თუ ვინ არიან მოხალისენი, რა ძალას წარმოადგენენ და რას უპირებენ ჩვენს ქვეყანას თუ კი ფეხი მოიმაგრეს.

ხალხმა გულდასმით ყურადღებით მოუსმინა მოლაპარაკეებს. შემდგომ ორატორებმა ხალხს შეატყობინეს, რომ შავი ზღვის ფრონტზე, სადაც ჩვენი ლაშქარი ძლევა მოსილებით წინ მიდის და ახალ ათონს უახლოვდება საჭიროა აქედან ძალების მიშველება, რისთვისაც მთავრობა იწვევს ჯარის კაცთ და გვარდიელთ...

ხალხმა ერთხმად იგრიალა: წავიდეთ...

აქაური ჯარისკაცები და გვარდია უკვე წავიდა გაგრისკენ.

ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების „წინი"-ს შესახებ ხალხში მეტად ცუდი ხმა დადის. ამბობენ: ფულები გაფლანგულია.

ეს ერთი თვეა ადგილობრივი სამკითხველო დაკეტილია ძველი გამგის ივ. ცქიტიშვილის გვარდიაში ჩაწერის გამო, ნუ თუ ჯიხაიშლებს სამკითხველოს ხელმძღვანელად სხვა ვინმე პირი ვერ უშოვიათ, რომ ასეთი განსაკუთრებულ დროში სამკითხველო დაკეტილი აქვთ?

ხვნა თესვა უკვე დაიწყო, ხალხს ეშინია ცხენების მობილიზაციის.

სოფლელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა" პუშკინის ქუჩა სახლი გოცირიძისა ქუთაისში.